




საბჭოთა
საზოგადოებრივი
სამსახური

1921 1931

X

N 4



პიონერი

პიონერების და მოსწავლეთა საზოგადოებრივ-
ლიტერატურული ჟურნალი.

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და
ვანათლების სახალხო კომისარიატის სოციალური
აღზრდის მთავარმართველობისა ჟურნალი—გაფშ-
თათვის.


№ 4

28 თებერვალი
1931

წელიწადი მე-6

რედაქციის მისამართი:
ტფილისი, რუსთაველის პრ.
№ 22.

სახელგამი,
საბავშვო საქმისა



სარჩევნი

- **გ. ქუჩიშვილი:** საქართველოს გაბჭოების ათი წლის თავი.
- **ბ. ბიბინეიშვილი:** და, მარცხით დასრულდა მათი ზეიმი.
- **სერგო აბულაძე:** ბრძოლისა და გამარჯვების ათი წელი.
- **ამ. კავკასიის პიონერთა ბიუროს მიმართვა** ყველა პიონერისადმი.
- **დავ. შამათვა:** სიტყვა ტროპიკულ სანაპიროდან.
- **ზაქრო დოლიაშვილი:** თებერვლის მოლოდინში,
- **ირანი:** თებერვლის დღეები.
- **იბრძოლეთ პოლიტექნიკისათვის.**
- **არმია წინად და ახლა.**
- **სეზმან:** ბრძოლის ველზე.
- **შ. თ.:** წითელი არმია.
- **გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტ. სამმართველოს 13 წელი.**
- **ამხ. სტალინის აზრი** გაერთ. სახ. პოლიტ-სამმართველოზე.
- **გრიშა ესებუა:** წითელ არმიას.
- **წითელარმიელის უბის წვდნაკიდან.**
- **გრიშა იარალოვი:** ჩვენი მიღწევები ათი წლის თავზე.
- **დავით ქუთათელაძე:** ყდა.

ახალი ფაბრიკა-გიგანტების შენება

327.133 (037)
3-47

საქართველოს
ლიტერატურის

მ ბ ე რ ა ზ ე ს ა მ ა მ ი ა ო რ ე რ ი ე მ ა რ ი ბ ე ო გ ე



ნახატი მხატვარ ღვთისმშობლის




გ. ქუჩიშვილი

წელს იშვიათ
წეიმს იხდის
თებერვალი:
ჯამს უკეთებს
ყოველ დარგში

თვის მიღწევებს;
მტკიცედ სჯერა,
რომ მისია
მომავალი
და ეს რწმენა

კვლავ ბრძოლისთვის
ასაღკდეებს!
ძველ ტფილისსაც
შეუცვლია
ახლით სახე,

ქუჩიშვილს კი
უხარიათ
კონტად გაზრდა,
და ზაჭესის
ვარსკვლავებით
მოჩახჩახე
ისტორიულ
ათ წელს ხვდება
გულანაზდად!
რომ საბჭოთა
საქართველო
გაძლიერდა,
ამას მოწმობს
ახალ-ახალ
ქარხნის წყება,
მათ გუგუნზე,
ვგრძნობ,
მეც გული
ამომღერდა
და არ ძალმიძს
არ შეეძახო:
— გამარჯვება!
თუ სოფლებსაც
სალის თვალით
გადაჰხედავთ,
თუ ეწვევით
კოლექტივთა
შრომის ჯარებს,
სიხალისით,
ალტაცებით
დაიძახეთ:
— ვაშა, ვაშა,
თავდადებულ
კომუნარებს!
ან ვინ ასწერს
ამ ათი წლის
დიდ მიღწევებს,
ვინ აჰხატავს
მის ღღევანდელ
გამოფენას?!
მართლაც ვაშა
მშრომელ ხალხის
ბრძნულს სიმხნევებს
და საბჭოთა
საქართველოს
წინსვლას,
რწმენას!



გრაფიკა მხატვარ ღვთამთაყვანის



ბ. ბიზინიოვილი.

მხოლოდ სამ წელიწადს ბატონობდნ ისინი, მაგრამ საქართველოს მშრომელნი დიდხანს ვერ დაივიწყებენ მათ, რომლებმაც უღალატეს რევოლუციას და თავისი მესზიანურ - ბურჟუაზიული და შოვინისტურ - იმპერიალისტური პოლიტიკით კატასტროფამდე მიიყვანეს საქართველო.

დიდი პროლეტარული რევოლუციით თავზარდაცმულმა და თურქების მიერ ყელში ხელწაჭერილმა მენშევიკებმა, დაშინებმა და მუსავატისტებმა 1918 წლის მაისში გაინაწილეს ამიერ - კავკასია.

„უჩაღმა ძმებმა“ შემოფარგლეს თავისი ნაწილი - მენშევიკებმა საქართველოში მოიკალათეს, დაშინებმა - სომხეთში, მუსავატისტებმა აზერბეიჯანში და შეუდგენ „თავისი“ ხალხის, ე. ი. ბურჟუაზიის, ცხოვრების მოწყობას; ისინი ყოველგვარად იცავდნ კერძო საკუთრებას და ცარიზმის დროს არსებულ ექსპლოატაციის ფორმებს, თანაც ერთ მანეთის გააფთრებით ეომებოდნ, რაც უცხოეთის კაპიტალისტის იყო ხელსაყრელი, და ამავე დროს ჰქმნიდნ პლაცდარმს საბჭოთა რუსეთში კონტრ - რევოლუციონური თავდასხმისათვის.

ამ გამცემლური საქმიანობით განსაკუთრებით ისახელეს თავი, თავისი თანამიმდევრობით და მედგრობით, ქართველმა მენშევიკებმა, რომლებმაც საქართველოს „დამოუკიდებლობის“ გამოცხადების მომენტიდან საბლოოდ მოიხნეს სოციალიზმის ნიღაბი.

სუსტმა ქართველმა ბურჟუაზიამ მენშევიკების დროს ფრთა შეისხა: მისი სანუკვარი იდეალი იყო ცალკეული ნაციონალური სახელმწიფოს — საქართველოს — შექმნა, რაც უკვე განახორციელეს მენშევიკებმა, რითაც ბურჟუაზიამ ჩამოიშორა მეზობლების, უმთავრესად სომხის ბურჟუაზიის, კონკურენცია.

საქართველო აღადგინეს თავის ისტორიულ საზღვრებში, მუშათა კლასის ზედა ნაწილი მოიშინაურეს, ყოველივე ეს კი კარგ გავლენას ახდენდა ქართული ბურჟუაზიის ჯიბეხა და გუნებაზე, რომელიც მენშევიკური დიქტატურის უაღრესად საიმედო დასაყრდენი იყო მისი არსებობის მთელ მანძილზე. მენშევიკები გულმოდგინედ დაეძებდნ მოკავშირეებს ბოლშევიკებისა და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ეძებდნ და პოულობდნ კიდევ — ესენი იყვნენ მეფის დროის ყოფილი გენერლები, კაიზერის და ანტანტის ჯარები, რომლებსაც რიგ - რიგობით უხსნიდნ სიყვარულს.

კონტრრევოლუციონურ გენერალ ალექსეევთან მენშევიკებმა გაგზავნეს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი, რომელსაც სპეციალურად ჰქონდა დავალებული შეექმნა ამ გენერალთან ერთად მთლიანი ფრონტი ბოლშევიკების წინააღმდეგ.

„ჩვენ და თქვენ ერთი მიზანი გვაქვს“ — ამბობდა თავისი თავით კმაყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი — მენშევიკი.

„ჩვენ ერთ წერტილს — ბოლშევიკებს — ურტყამთ“ და ისინი მენშევიკები და მეფის კონტრ - რევოლუციონერი გენერლები ურტყამდნ მუშურ - გლეხურ საბჭოთა ხელისუფლებას და არაფრის წინაშე არ იხევდნ.

მაგრამ, როდესაც გერმანია დაამარცხეს და მასზე ორიენტაცია მენშევიკების შემბლაღველი გახდა, — მენშევიკებმა უცბად სხვაგვარად დარაზმეს თავის რიგები და, მიიღეს რა ანტანტის ორიენტაცია, — დაიწყეს ანტანტის წარმომადგენელთა წინაშე ხოხვა და ყოველგვარად ცდილობდნ დაერწმუნებიათ ისინი — თქვენი, ერთგულენი, თქვენი მეგობრები ვართო.

„ჩვენი მთავრობა სოციალისტური არ არის“ — არწმუნებდა მენშევიკების წარმომადგენლები ანტანტის გენერლებს, რომლებმაც პირველად შემოადგეს ფეხი საქართველოს ტერიტორიაზე ბათომში.

ანტანტის წარმომადგენლები ისე გრძობდნ თავს საქართველოში, როგორც თავის ოჯახში. ანტანტა უცერემონიოდ ბატონობდა აქ. ამის საუკეთესო საბუთია მენშევიკების მიერ ვილაც კოჩარიანცის გასამართლება, რომელსაც ბრალდებოდა გერმანელების ევაკუაციის დროს ძეგვის ხიდის აფეთქება: დამნაშავე ანტანტის აგენტი გამოდგა. ინგლისის ჯარის მეტაურების ზეგავლენით მენშევიკურმა სასამართლომ, დახვრეტის ნაცვლად, კოჩარიანცს მხოლოდ რამდენიმე წლით საპრობილში მოთავსება გადაუწყვიტა, მაგრამ ინგლისის ჯარის მეტაურები ამანაც ვერ დააკმაყოფილა; ცოტა ხნის შემდეგ სასამართლოში გამოცხადდა ინგლისის ოფიცერი; ის გაბრაზებული იქნედა ტროსტს და მოითხოვდა — დაუყოვნებლივ განათავისუფლეთ დამნაშავენიო, რაც სიტყვის შეუბრუნებლად აუსრულეს.

1921 წლის აპრილის 25-ს დასრულდა საქართველოს სოციალისტური რევოლუციის 25-ე წლისთავი

მენშევიკები ყველას არწმუნებდნენ: დემოკრატიული საქართველო ყოფილი რუსეთის მიწაწყალზე „ერთადერთი თავისუფალი რაზისი“ არისო.

ბოლშევიკებმა, როგორც ისინი ირწმუნებოდნენ, დალუბეს სოციალიზმისა და დემოკრატიის საქმე, აქ კი, საქართველოში, მენშევიკები ახდენდნენ „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ“ სვლის თავისი „მიღწევების“ დემონსტრაციას: აქ იყო ბურჟუაზიასა და გენერლებთან შენმატებილებული ერთობა, აღვირადნილი სპეკულიაცია, უბოლოო ომები და მართლაც რევოლუციური — წვრილბურჟუაზიული ნახუფრალის მირთმევა.

იმ მიზნით, რომ „ის მიღწევები“ საქართველოს ფარგლებს გარეთაც გაეცნოთ, უმთავრესად კი ევროპაში, მენშევიკების ცეკამ და მთავრობაში მოიწვია ყვეთელი ინტერნაციონალის სპეციალური დელეგაცია, რომელიც 1920 წლის სექტემბერში ესტუმრა საქართველოს, რომ დაეთვლიერებია „საჩვენებელი რესპუბლიკის“ მიღწევები.

დელეგაციაში იყვნენ: 1. მპკლმნალდი, 2. ვანდერველდე, 3. ტომ შოუზ, 4. რანოდელი, 5. გუისმანი, 6. მის სნოუდანი და სხვ.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოვიდა პაუტინი თავისი მეუღლით. სოციალ - გამყიდველებმა და მეფის მინისტრებმა მოინახულეს საქართველოს სხვადასხვა რაიონი და კუთხე; მათ ყველგან გულთბილად სვებოდდა და უხვად უმასპინძლებოდა მენშევიკური დემოკრატია.

საზეიმო შეხვედრა, ოვაციებმა და, უმთავრესად, პურმარილმა სათანადო გავლენა მოახდინა. დიდი სტუმრები აღტაცებული იყვნენ, ისე მოეწონათ პატარა საქართველო და მისი მმართველები, პაუტინი კი, როგორც შეჰფეროდა სწავლულ თორეტიკოსს, წიგნიც კი დასწერა დემოკრატიულ საქართველოსა და მისი წმსების შესახებ. საქართველოს ღარიბ მშრომელებს, რომელნიც ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის დროს მოითხოვდნენ მიწას მშრომელებისათვის, არაფერი არ მიუღიათ, გარდა ახალი გადასახადებისა და კვაჭი კომისრებისა, რომელნიც უკონტროლოდ ბატონობდნენ თავის რაიონებში.

მენშევიკებმა თავისი რევოლუციონრობით სარეკორდო რეფორმა გაატარეს — მიწის რეფორმა: მათ საკმაო მიწა დაუტოვეს წინანდელ მფლობელებს, კონფისკაციამნილი კი ყველა მსურველს მიჰყიდეს, ე. ი. იმათ, ვისაც ფული ჰქონდა: კულაკებს, სპეკულიანტებს, ვაჭრებს და ბირჟის მაკლერებს.

ისინი განუწყვეტილვ ომებს აწარმოებდნენ მეზობლებთან, აგრეთვე სამხრეთ - ოსეთის, აჭარისტანის და აფხაზეთის ეროვნულ უმცირესობებთან, რომლებსაც არა ერთხელ შეუხიენ „სახელოვანი“ ლაშქრები მენშევიკური დემოკრატიის შავი რაინდები — ბენია ჩხიკვიშვილი, ვალიკო ვულელი და სხვანი.

მშრომელთა ფართო მასების უკმაყოფილება დღითი - დღე იზრდებოდა, და ბოლოს აიგსო მოთმინების ფიალა, დაიწყო მშრომელთა აჯანყებები — 1918 წელს მოხდა გლენების დიდი აჯანყება დუშეთის მაზრაში, უფრო ადრე კი — აფხაზეთისა და ლეჩხუმის მაზრაში, სამეგრელოში და სხვა ადგილებში.

1920 წელს იფეთკა რამდენიმე ახალი აჯანყებამ, უმთავრესად სამხერთოსეთსა და გურიაში.

ეს აჯანყებები სასტიკად ჩააქრეს მენშევიკებმა; აჯანყებულნი მოითხოვენ საბჭოთა ხელისუფლების დამკარებას და საბჭოთა რუსეთთან ერთობას.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მენშევიკების ზეიმი. 1921 წელი დგებოდა, ის წელი, რომელიც საბედისწერო გამოდგა მენშევიკებისათვის. საქართველო - სომხეთის ომმა მეტის - მითად გააძლიერა ქართველი და სომეხი ინტელეგენციის შოვინისტური განწყობილება, საქართველოსა და სომხეთს შორის შეიქმანა ე. წ. ნეიტრალური ზონა, რომელსაც ქართულ-სომხური ადგილობრივი ხელი სუფლებს განაგებდა.

მაგრამ ქართულ ხელისუფალთა თავგასულობამ და უკანონობამ იმდენად გაამწარა მშრომელი მოსახლეობა, რომ მან ბოლოს იარაღს მოჰკიდა ხელი. აჯანყებულებმა გადააყენეს ადგილობრივი ხელისუფლება, დაარსეს რევკომი ქ. შულავერში და დასახმარებლად მოიწვია წითელი ჯარის ნაწილები სომხეთიდან და აზერბეიჯანიდან.

აჯანყება ახლოვდებოდა, ის სულ ახალ - ახალ რაიონებს მოედო, სამოქალაქო ომი გაჩაღდა მთელს საქართველოში.

მენშევიკები დაიბნენ. ჯერ კიდევ 16 თებერვალს მისცა მთავრობას ქ. ტფილისის მოურავმა ბენია ჩხიკვიშვილმა წინაღება - დაუყოვნებლივ შეუდგეთ ევაკუაციასო.

დამფუძნებელი კრება, რომელმაც საბოლოოდ დაკარგა ავტორიტეტი, სასწრაფოდ იღებდა „დემოკრატიულ“ კონსტიტუციას და ამტკიცებდა ახალ ბიუჯეტს; ბევრი იძლეოდა წინადადებას დიქტატორად გამოვაცხადოთ გენერალი კვინიტაძეო.

იმავე დროს საოცარი უნეროვით ხდებოდა ტფილისიდან სხვადასხვა სიმდიდრის ევაკუაცია — ოქრო - ვერცხლის, ძვირფასი თვლების და სხვადასხვა სავალიუტო საქონლის, თვით პიანინოებისაც კი, მინისტრები და მათი ცოლები ავტომობილებსა და ვაგონებში ალაგებდნენ ყველაფერს, რის წაღებაც კი შეიძლებოდა და გამოდგებოდა შორეულ უცხოეთში.

მშრომელთა ქონების ცარცვით და გზაზე ოქტომბრის რევოლუციის თავდადებულ მებრძოლთა დახვრეტით განმარტენ მენშევიკები ტფილისიდან.

25 თებერვალს აფრიალდა ტფილისში ოქტომბრის რევოლუციის წითელი დროშა. მთელი ყვითელი სიბინძურე მოექცა სურამის ქედს იქით.


დაცარიელბულ - გაცარცულმა ტფილისმა წითლების მოსვლის შემდეგ იწყო გამოცოცხლება

რამდენიმე კვირის შემდეგ დასავლეთ საქართველოდანაც აღივავნ მენშევიკების ბანდები.

შავმა ზღვამ ანტანტის გემებში მიიღო ფეოდალურ - ბურჟუაზიული საქართველოს უკანასკნელი ნაშთი — იმპერიალიზმის ყვეთელი ლაქიები, ქართველი მენშევიკები.


იშვა ახალი, მშრომელი საბჭოთა საქართველო, მუშებისა და გლენების საქართველო. რევკომები შეუდგენ ქვეყნის მართვას

ინტელიგენცია



ბრძოლსა და გამარჯვების ათი წელი

სარგო. აბულაძე



ხუთწლედის იერში

თუ გავეცნობით ერთა ურთიერთ-დმოკიდებულების საკითხს წარსულში, ოქტომბრის სოც. რევოლუციამდე და მის შემდეგ დღემდე, დავინახავთ, რომ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი არის მთელი ქვეყნის ერთი მეექვსედი, რომელშიაც სხვადასხვა ეროვნების ნებაყოფლობითი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული კავშირი, ყოფ. მეფის რუსეთის ტერიტორიაზე და დღეს კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ ეროვნულ უმცირესობათა შალდატანებით გაერთიანების სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირში ხალხთა და ეროვნებათა ნებაყოფლობითი გაერთიანება პროლეტარიატის დიქტატურის და საბჭოების სისტემის საფუძვლებზეა აღმოცენებული.

პროლეტარიატის დიქტატურის საფუძვლებზე ერების გაერთიანება ნიშნავს მათ მიერ მემამულეების და კაპიტალისტების ხელისუფლების დამხობას და თავის ბედის დაკავშირებას საბჭოთა კავშირის მოწინავე სამრეწველო ცენტრების რევოლუციონურ პროლეტარიატთან.

ეროვნულ უმცირესობათა მშრომელმა კლასმა, აარჩია რა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტური განვითარების გზა, პროლეტარიატთან ხელისუფლებული მიუდგა საუკუნოებით შექმნილი თავისი ეკონომიურ - პოლიტიკური და ყოფაცხოვრებითი პირობების ახლად, სოციალისტურად გადაკეთებას.

თვითმპყრობელობა, რომელიც ეროვნულ უმცირესობათა მიმართ ატარებდა გარუსების პოლიტიკას,

ეროვნული კულტურის და განვითარების ჩახშობის პოლიტიკას, სრულად არ იყო დაინტერესებული მაშინდელ რუსეთის იმპერიაში შემავალ ეროვნულ უმცირესობათა და განაპირა მხარეების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სახალხო განათლების განვითარებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ განაპირა ეროვნულ უმცირესობათა მშრომელი მასა, (ისე, როგორც ცენტრალური ეროვნების) მემამულეების, სასულიერო წოდების და კაპიტალიზმის აუტანელი ექსპლოატაციის უღლის ქვეშ იმყოფებოდა, რაც უსაზღვროდ ახშობდა ნაციონალური კულტურის განვითარებას და ხალხის სრულ მონობას იწვევდა.

თვითმპყრობელობა განაპირა ეროვნულ უმცირესობათა მიმართ ასეთ გზას ადგა: დევნა, დარბევა და ფიზიკური გაუღებია, თვითმპყრობელობის სამარცხვინო ისტორიაში მრავალი შავი ფურცელია ჩაწერილი, როგორც მაგ., სომხებისა და თათრების ურთი-ერთ სისხლისმღვრელი ქლეტა, ებრაელების დარბევა და ფიზიკური განადგურება, რის გამოც არა ერთხელ ამხედრებულა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი თვითმპყრობელობის ასეთი ველური მოქცევის წინააღმდეგ.

განაპირა ეროვნულ უმცირესობათა შორის მტრობის, შუღლის გაღვივება, მათი ერთიმეორეზე გადაკიდება და ურთიერთგანადგურება ასუსტებდა ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგობას ძირმომპალი მონარქიის მიმართ და თანაც კულტურულად ჩამორჩენილი მასა ამის გამო

თავის უბედურების მიზეზად მეზობელ მოძმე ერს სთვლიდა.

თუ ძველად და დღესაც, კაპიტალისტურ ქვეყნებში ასეთ ეროვნულ შუღლს კიდევ უფრო მწვავედ აქვს ადგილი, არ შეიძლება არ აღინიშნოს მასში ადგილობრივი ბურჟუაზიის როლიც, რომელიც ყოველმხრივად ხელს უწყობდა ეროვნული შუღლის გაღვივებას. ჩვენთვის საინტერესოა ისიც, თუ როგორ მოგვარდა ეროვნული საკითხი თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ ა.-კავკასიაში, ე. ი. 1917 წლის თებერვლის პირველი რევოლუციის შემდეგ, მენშევიკების საქართველოში, მუსავატების აზერბეიჯანში და დაშნაკების სომხეთში.

ამიერ - კავკასიის სამ „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკაში 3 წლის განმავლობაში ბატონობდნ ეს სოცდამცემლური პოლიტიკური პარტიები, რომლებიც თავისი ეროვნული პო-

სალაქო საბჭოთაობა



სალაქო საბჭოთაობა
დასამცემლური
კავკასიის მუშაკი
კავკასიის რაბოჩი
კომუნისტი
რაბოჩი
ბიულეტენი
პრავდა
კავკასიის მუშაკი

ლიტიკით მეზობლებთან დამოკიდებულების საკითხში თვითმპყრობელობის გეზს ადგენ და, ზოგჯერ კიდევ აჭარბებდნენ მას.

1917 წ. ოქტომბრის სოც. რევოლუციიდან მოწყვეტილი ა.-კავკასია სომხებსა, აზერბეიჯანელებსა და ქართველებს შორის შუღლის და მტრობის ბუდედ გადაიქცა. აქ კპოგეს თავშესაფარი რუსეთის რევოლუციიდან გადმომალულმა თეთრგვა-

რდილებმა, იუნკრებმა, რუსეთის კონტრრევოლუციის ნაწილმა. ამიერ-კავკასია კაპიტალისტური ქვეყნების იმპერიალისტური ზრახვების სათარეშო პლაცდარმი გახდა.

გადვიდა ეროვნული შუღლი და ფიზიკური უღელტა, მეზობელი მოძმე ერების დევნა და ერთმანეთის კულტურული და მატერიალური განადგურება.

„დამოუკიდებელი“ დემოკრატიული საქართველოს მენშევიკური მთავრობა, ერთი ხელით რომ ძმური და მეზობლური დამოუკიდებლობის დეკლარაციებს აქვეყნებდა, მეორით ზარბაზნებს უშენდა სომხეთს. ამტკიცებდა რა ერთა თავისუფლების პრინციპის დაცვას, პრაქტიკულად ეროვნულ უმცირესობებს ავიწროებდა, უკრძალავდა საქართ. ტერიტორიაზე ცხოვრებას და საქართველოდან ასახლებდა (სომხებსა და რუსებს).

ამ პრინციპებს იცავდნენ კიდევ ა.-კავკასიის დანარჩენი „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკებიც. (მაგ., 1918 წელს ქ. ბაქოში სომხებისა და თათრების მიერ ერთმანეთის ამოუღებელი და ერთმანეთისადმი მხეცური მოპყრობა). ქართველი მენშევიკები დემოკრატიული საქართველოში შემავალ ეროვნულ უმცირესობებს, სამხ. ოსეთს, აჭარისტანს და აფხაზეთს, თავისუფლების და კულტურულ მატერიალური დახმარების მაგიერ, უმასპინძლდებოდნენ მშრომელი მოსახლეობის შეიარაღებული ძალის საშუალებით დამორჩილებით, გადაწყვეით და დარბევით. შეიარაღებული მენშევიკური გვარდიის საშუალებით საქ. დემოკრატიული მთავრობა მეზობელი ერების წინააღმდეგ მიმართავდა პროვოკაციულ გამოსვლებს ომის გამოწვევის მიზნით, რასაც თან სდევდა შეიარაღებული თავდასხმები, როგორც მაგალითად, საქართველოს და სომხეთის შორის მომხდარი ომი 1918 წ.

ეს პოლიტიკა ტარდებოდა „დამოუკიდებელ“ საქართველოში ნოე ჟორდიანის მენშევიკური მთავრობის ხელმძღვანელობით იმ დროს, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე ინგლისის გენერლები — ბიჩი, უგკერი, ბრუუდი, კარი, ვასკელი და სხვები — უკონტროლოდ მბრძანებლობდნენ და იმპერიალიზმისათვის ამ დამახასიათებელ ეროვნულ ხოცვა-ჟლეტის პოლიტიკას ხელს უწყობდნენ და აღრმავედნენ.

ასეთი იყო მენშევიკური საქართველოს ეროვნული პოლიტიკა, მეზობელი ერების და ეროვნულ უმცირესობების ურთიერთ განადგურებისაკენ მიმართული.

მშრომელი კლასის ასეთი ფიზიკური და მატერიალური მდგომარეობა ხელსაყრელი იყო უცხო ქვეყნების იმპერიალიზმისა და შინაური (თავად-აზნაურული) ახალი ბურჟუაზიისათვის. როგორც საქართველოს, ისე დანარჩენი რესპუბლიკების მშრომელი კლასი უსაზღვრო შევიწროებას განიცდიდა, რის შედეგადაც იყო მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის აჯანყებები და შეიარაღებული გამოსვლები. ეს გამოსვლები სისხლის მორევში ჩაახრჩეს საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში.

მათ სამარცხვინო ბატონობას 1921 წელმა მოუღო ბოლო.

ამიერ - კავკასიაში უკანასკნელი „დამოუკიდებელი“ მენშევიკური რესპუბლიკაც აღვივლ იქნა.


1921 წლის 25 თებერვალი შევიდა საქართველოს არსებობის ისტორიაში, როგორც ხანა მშრომელი კლასის გამარჯვებისა და ოქტომბრის რევოლუციის მიერ განთავისუფლებულ ერებთან ახალი სოციალისტური სამშობლოს საძირკვლის ჩაყრისა.

მენშევიზმის ისტორიის უკანასკნელი ფურცელი დაიხურა.

დღეს ჩვენ გვაქვს საბჭოთა ხელისუფლება. ა.-კ. სამივე რესპუბლიკაში ყველაგან პროლეტარიატის დიქტატურაა. საჭირო იყო აღმოფხვრილიყო ეროვნული შუღლის ნარჩენები, რასაც საკმაო ზიანი მოქონდა. ნაციონალიზმის ბაცილები სწამლავდა ა.-კავ. ერების ორგანიზმს.


ამ ეროვნულ შხამს შექმნილი აქვს განსაკუთრებული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ფსიქოლოგია. ეკონომიურად და მორალურად დაუძლეურებული ა.-კ. ერები საჭიროებდნენ პოლიტიკურ - ეკონომიურ და კულტურულ კავშირს.

ამ მდგომარეობის გამოსწორების საშუალებას ა.-კ. რესპუბლიკების ცალკე არსებობა არ იძლეოდა, ასეთ პირობებში სომხეთს, საქართველოს და აზერბეიჯანს არ შეეძლოთ შეექმნათ ერთი მებრძოლი შტაბი საერთო ინტერესების დაცვისათვის. ჩვენი რესპუბლიკები რომ ცალკე დარჩენილიყო, არ გვექნებოდა ერთიანი პოლიტიკა, ერთიანი საგარეო ვაჭრობა, რკინის გზის საერთო ქსელი და



გვარდია
სტრუქტურა
იუდასტრუქტურა
სტრუქტურა

ვიქნებოდით დაქუცმაცებული, როგორც მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების ბატონობის დროს.



„აბჰ სის“ მთ.ვარი ვეებარა

სწორედ ასეთმა საერთო ეკონომიურმა და კულტურულმა ინტერესებმა ჩვენ გვიკარნახა სამივე რესპუბლიკისაგან ა.-კავკასიის საბჭოთა სოც. რესპუბლიკის ფედერაციის შექმნა, რაც შესანიშნავად შეიგნო და კიდევ გაატარა სამივე სოც. რესპუბლიკის მშრომელთა კლასმა. მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა სისტემის საშუალებით შეიქმნა შესაძლებელი ა.-კ. ს.ს.რ. ფედერაციის შექმნა მუშათა კლასის ავანგარდის კომუნისტურ (ბ) პარტიის ხელმძღვანელობით.


1922 წ. 12 მარტი დარჩება ისტორიულ ხანად ა.-კ. ს.ს.რ. ფედერაციის არსებობაში, როგორც ამიერ - კავკასიის ერებს შორის ეროვნული შუღლის და ურთი-ერთ შორის მტრობის აღმოფხვრის დასაწყისი.

ა.-კ. მშრომელთა კლასმა დაანახვა ყველას და თითოეულ ჩვენგანს, რომ ჩვენ კიდევ უფრო ვამჭიდროვებთ ჩვენს რიგებს, ვსაბოთ ეროვნულ შუღლს ცალკე ერებისაგან მთლიანი სოციალისტური ოჯახის შესაქმნელად.

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ეროვნული კულტურა ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკისა გა-

ქრება და განადგურდება. ჩვენთვის გასაგები უნდა იყოს ფორმა და ჩარჩოები, რომელშიც ვითარდება ცალკეული ხალხის კულტურა. სხვადასხვა ნაციონალური კულტურა ერთმანეთს ხელს კი არ უშლის, არამედ ეხმარება. ამიტომ ჩვენი ამოცანაა, ჩამორჩენილი აუცილებლად გაუსწორდეს წინ მდგომ ერებს და ჩამორჩენილებს დავეხმაროთ კულტურულად და ეკონომიურად წინ წასაწევად. აქედან ცხადია, რომ კულტურას ახლანდელ პირობებში შეუძლია განვითარდეს მხოლოდ სოციალისტურ და პროლეტარულ კალაპოტში.

საკავშირო კომპარტიის მე-16 ყრილობამ აღნიშნა, რომ „რევოლი-



„აბჰ სის“ სასკური

უციონური პროლეტარიატის ნაციონალური პოლიტიკა ემორჩილება კლასიურ ბრძოლას, მის საერთო ამოცანებს, ვინაიდან ნაციონალური განთავისუფლება წარმოადგენს სოციალური და კლასიური განთავისუფლების მხოლოდ შედეგს. ე. ი. შიივებს პროლეტარიატის და მშრომელი გლეხების განთავისუფლებისას მემამულეების და კაპიტალისტების მონობისაგან“.

მტრობა და უნდობლობა ერების ურთიერთშორის დამოკიდებულებაში არის პირდაპირი შედეგი იმპე-

რიალისტური პოლიტიკიდან გამოშვალ ნაციონალური მონობისგან. 1921 წლის 25 თებერვალს სრულდება საქართველოს გასაბჭოების ათი წელი და ამიერ - კავკასიის სოც. საბ. რესპუბლიკის ფედერაციის არსებობის 9 წელი.

ლენ. კომპარტიის ხიომძღვანელობით განვლილია სოციალიზმის ფრონტზე საქართველოს მშრომელი კლასის 10 წელი ბრძოლისა და გამარჯვებისა, მოძმე სომხეთის და აზერბეიჯანის მშრომელ კლასთან ერთად, უკეთესი მომავლისა და მსოფლიო სოც. რევოლუციის გამარჯვებისათვის. მომავალი თაობა უნდა გაეცნოს, მან უნდა შეისწავლოს მშრომელ კლასთა ბრძოლისა და გამარჯვების ისტორია.


გაუმარჯოს მტკიცე კომუნისტურ ლენინურ პარტიას, ჩაგრულ ერთა კაპიტალისტური მონობისაგან განთავისუფლების მედროშეს!

გაუმარჯოს ა.-კ. ს.ს.რ. ფედერაციას — მშრომელების სოციალისტურ ოჯახს!

გაუმარჯოს საქართველოს გასაბჭოების 10 წლის თავს, კომუნისტური საზოგადოებისათვის ბრძოლის 10 წლის თავს!



თესლის მიმარაგება საჯახუხულოდ



„ზაჰვისი“ — გენერატორი და ტურბინა

ირანი.

მაშინ, მკითხველო, შენოდენა ძლიერ ვიქნებოდი. მაგრამ ჩემი ბავშვობა არ ჰგავდა თქვენს ბავშვობას, დიდი და ძალიან დიდი განსხვავებაა. თქვენ ახლა, ვიცი, მშვენივრად ერკვევით პოლიტიკის საკითხებში, იცით სახელმწიფოს ორგანიზმის აგებულება, კარგად იცნობთ ჩვენი პროლეტარიატის დიქტატურას, როგორი ბრძოლითა და სისხლით მოიპოვეს ის ჩვენმა მამებმა და როგორი ბრძოლითა და დაუღალავი ენერგიით მიგვყავს იგი თქვენთან ერთად სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ.

მე კი მაშინ მხოლოდ ართიმეტიკის ოთხი მოქმედება ვიცოდი და ძველი ქართული ნაციონალისტური ლექსები. ვკითხულობდი წიგნებს, რომლებშიც უმთავრესად მეფეებს, ფეოდალების და რაინდების თავგადასავალი იყო აღწერილი.

ამიტომ იყო, რომ მე და ბევრი ჩემისთანა, პოლიტიკურად სრულიად უფიცი ბავშვები, თებერვლის პირველ დღეებში აშკარად გამოვსრუდებდით მდგომარეობაში დავრჩით, ეს მოვლენა არ იყო მხოლოდ ჩვენი, მაგრამ იგი ჩვენთვის მანაც გაუგებარი იყო. ჩვენ გვეუბნებოდნენ: ბოლშევიკები ქვეყანას ააოხრებენო, ჩვენ გვეუბნებოდნენ—ბოლშევიკების შემოსვლა თქვენი სიცოცხლის მოსპობას ნიშნავსო, ჩვენ გვეუბნებოდნენ... მაგრამ ვინ მოსვლის, რამდენ საშინელ მასს გვეუბნებოდნენ ბოლშევიკების შესახებ, სინამდვილეში კი სულ სხვა მოხდა.

მენშევიკური მთავრობა საქართველოდან გასვლის წინ საშინელ პროვოკაციას ეწყობდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. სოფლია გლეხობას და საერთოდ საზოგადოების პოლიტიკურად ჩამორჩენილ ნაწილს ბოლშევიკებს უკაცისმკამლეოდა "უხატავდნენ" და მოუწოდებდნენ ხალხს ამ „ბარბაროსების“ წინააღმდეგ საბრძოლველად და საქართველოს „დამოუკიდებლობის“ შესანარჩუნებლად.

მაგრამ ეს „ბარბაროსები“ სულ უფრო წინ მოიწვედნენ და უახლოვდებოდნენ ჩვენს პატარა პროვინციულ ქალაქსაც. ნაციონალისტურად განწყობილი ახალგაზრდობა მათ შესაჩერებლად იარაღით ხელსეშურებდა ფრონტისაკენ. მაგრამ რატომღაც „მამულს“ დიდ სამსახურს ვერ უწყევდნენ, ან ვერ იჩენდნენ „მამულისშვილის“ გამბედაობას და ჩქარა უკანვე ბრუნდებოდნენ.

ჩვენი პატარა პროვინციული ქალაქიც იმ არმულ მდგომარეობაში იყო, რომელშიც საქართველოს თითქმის ყველა ქალაქი მენშევიკების გასვლის დროს. დაქროდა ათასგვარი ჭორი.

აგრაცა ბოლშევიკების წინააღმდეგ დღით-ღღე ძლიერდებოდა. მენშევიკებმა

დემდბრულ წყევლას და ჭორების გავრცელებას მიუყვს ხელი.

ახლო-მახლო მიდამოებში მენშევიკებმა პროვოკაციულ წამოგებულმა მოსახლეობამ მიწაში ჩაფლა თითბერის კოვზებით.

გასაბჭოებელი ზოლი თანდათან ფართოვდებოდა, წყნარ წყალში ქვის ჩაყარდნით გამოწვეული რკალივით. იგი ჩვენი პროვინციული ქალაქის მიდამოებსაც უახლოვდებოდა, სადაც, როგორც ზემოთ ვთხარი, მოსახლეობის წვრილბურთულ მუშაურ და პოლიტიკურად უფიც ფენებში მძვინვარებდა მენშევიკური პროვოკაცია.

გასაბჭოების წინააღმდეგ ნახევრად არ გვეძინა. ბოლშევიკურად განწყობილ მცხოვრებთათვის ეს იყო გამარჯვების და სიხარულის დამე, მეშინურ წვრილბურთულ მუშაურ და პოლიტიკურად უფიც მცხოვრებთათვის კი—გამორკვევის დამე, რომლის შემდეგაც ისინი ნახავდნენ ბოლშევიკებს, გაიგებდნენ, თუ სინამდვილეში მართლა ვინ იყვნენ ისინი, შეიძლება თუ არა მათთან ცხოვრება და სხვ. გამორკვეოდა საკითხი: იქნება მათი სიცოცხლე შეწყვეტული თუ მხოლოდ ცხოვრების ორგანიზაციის გადახლისება მოხდებოდა.

მოლოდინის დამე იყო. და დილით, როცა ავდექი, ჩვენს პროვინციულ ქალაქში თოვლი დამიხდა და ბოლშევიკები არა...

მეზობლებში თოვლი თოვლის ქათიბზე დააბიჯებდნენ ჩვენივე უბნის ბიჭები და წინააღმდეგ აძლიერდნენ მოსახლეობას ფრონტზე დატაცებული იარაღი ხელისუფლებისათვის ჩაებარებათ.

ვინ არიან ბოლშევიკები? განა ესენი? ესენი ხომ ჩვენი უბნის ბიჭები არიან, მათ მე რახანია ვიცნობ, ბოლშევიკები მაგათ ჰქვიათ? მაგათ ხომ არც ერთი კაცი არ შეუქამიათ არც ჩვენს უბანში და არც სხვაგან.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? განცვიფრდი: ჩვენი უბნის ბიჭები ყოფილან ბოლშევიკები, მაშადაამე ჩვენს უბნისთვის მათ ალბათ უკეთესი უნდათ აღბად, უკეთესისათვის იბრძოდნენ!


სად არიან ის ბოლშევიკები, რომელთაც პოლიტიკურად უფიცა? მენშევიკური პროვოკატორები გვიხატავდნენ?

აა! საქმე სულ სხვანაირად ყოფილა! —გამოვარკვიე მე და ბევრ ჩემისთანამ. მცირე ხნის შემდეგ ჩვენს უბანშიც შემოვიდა ძლიერმოსილი წითელი ჯარი, ეს იყო ქართველი ბოლშევიკებისადმი მშური დახმარება.



წითელარმიელები შაშხანებს ათვლიერებენ

ისინი ჩასახლდნენ მეზობელთა ოღებში. ვის შეუძლია იმ სულელური აზრის თქმა, თითქო ბოლშევიკური წითელი ჯარი მტაცებლურად დაეუფლა სოფლებს და დაბეზს. მე თვითონ არა ერთხელ მცნია მათი ხელით გაკეთებული ხის ქოშები, რომელსაც ისინი თითო კვც მჭაღზე სცვლიდნენ. ისინი თავისი შრომით მოულოდნელ შეურივევლ მჭადის ლუკმას, ძალადობით არ აწუხებდნენ გლეხის არცერთ ოჯახს. მაშინ მიხვდა ბევრი, რომ ჩვენში მხოლოდ და მხოლოდ მენშევიკური პროვოკაციის გავლენით უფროხოდნენ ბოლშევიკებს.




წითელი არტილერისტები

არმიელური

უ. შაველაშვილი

ცეცხლის გრიგალებს ვუცინით, მოგვაქვს ხალისი უღევი... მშები ვართ რევოლუციის და ახანძრების გულები... გამოგვივლია ბრძოლები, ტყვიას ქედს როდი ვუხრიდით, რჩებოდა სისხლის ზოლები და მტრების კვნესა-წუხილი... არ მოდუნდებოდა ხალისი, ირგვლივ ცა წითლად ინთება, ახალ ბრძოლების სმა ისმის, ვდგავართ ჩვენც მედგარ ზვირთებად...

გულიდან ამოვარდებოდა ბრძოლის ძახილი გუნდებად, და გამარჯვების ანთება მებრძოლებს ღაფურუნდებოდა... დაე, დაბეროს გრიგალმა, ევროპამ დაიღრილო, აინთოს ცეცხლი იქაც და ახალ ცხოვრებამ დაიღოს... ცეცხლის გრიგალებს ვუცინით, მოგვაქვს ხალისი უღევი, მშები ვართ რევოლუციის და ახანძრების გულები...



წითელი მფრინავები

(საუბარი მესამე)

პარტიათბირი პოლიტექნიკის შესახებ

„საბჭოთა სკოლის ძირითად თვისებას წარმოადგენს პოლიტექნიკა.“
—ეს არის 1930 წლის აპრილში სახალხო განათლების საკითხების შესახებ ჩატარებული საკავშირო მე-2 პარტიათბირის დადგენილებების მთავარი აზრი.

„ჩვენი სკოლა, — ნათქვამია თათბირის დადგენილებაში, — დღემდე არ წარმოადგენს ნამდვილ პოლიტექნიკურ სკოლას: ის ვერ კიდევ არის წარმოებიდან, სწავლა და ბავშვების მონაწილეობა არ არის დაკავშირებული ფაბრიკის, ქარხნის, საბჭოთა და კოლმეურნეობის საზოგადოებრივ შრომასთან“.

საერთო განათლების სკოლებიდან ბავშვები გამოდიან ხელობისა და ცოდნის შეუძენლად, და მათ არა აქვთ საშუალება კვალიფიციური მუშები გახდნენ. მაშასადამე, სკოლასა და ჩვენი სოცმშენებლობის მოთხოვნილებებს შორის აშკარა შეუსაბამლობაა.

ამიტომ საჭიროა სკოლების ძირითადი გადახალისება, ისინი პოლიტექნიკურ სკოლებად უნდა გადაკეთდეს. ამისთვის კი საჭიროა მათი დაახლოება წარმოებასთან.

მოზრდილი ასაკის ბავშვებს უნდა მიეცეს კარგად მოწყობილი ფაბრიკა-ქარხნების, ელექტროსადგურების, ქარხნების, ელექტროსადგურების და საბჭოთა მეურნეობათა გაცნობის და მოწყობილ ცენტრებში მუშაობის საშუალება.

ამიტომ საჭიროა კარგად იქნეს მოწყობილი სარაიონო სახელოსნოები, რომელნიც დაკავშირებული იქნებიან ფაბრიკებთან; მათში მუშაობა უნდა ეწყობოდეს და სწარმოებდეს არა მარტო პედაგოგების, არამედ თვით მეურნეობის ხელმძღვანელობის მიერაც. აუცილებელია პოლიტექნიკური სკოლებისთვის საჭირო პედაგოგების

მომზადება და ძველ სკოლებში აღზრდილთა გადამზადება.

პიონერების კლუბები, ცენტრალური სახლები, სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური სადგურები, საბავშვო თეატრები და კინო უნდა იქნეს ბავშვთა პოლიტექნიკური მასიური აღზრდისა და პროპაგანდის დასაყრდენი ცენტრი.

ეს არის მეორე პარტიათბირის დადგენილებანი პოლიტექნიკური აღზრდის შესახებ, რის განხორციელებასთვის უნდა ვიბრძოლოთ.

რაში მდგომარეობს მთავარი საშიშროება

პოლიტექნიკიზმზე მსჯელობის დროს პარტიათბირი სასტიკი კრიტიკის ქარციხლში ატარებდა ჩვენი სკოლების მშრალ და მარტო სიტყვიერ სწავლას და მწიფობობას.

აი, რას ამბობდა სახალხო განათლების კომისარი ბუბნოვი:

„რას აკეთებენ მოწაფეები გაკვეთილების დროს? მასწავლებელს უსმენს 14,5 პროც., კითხულობს 10 პროც., სწერს 10,5 პროც., პასუხობს 2.75 პროც. აქედან დასკვნა: ჩვენ გვაქვს სიტყვიერი, და არა შრომის სკოლა“.

ამავე დროს პარტიათბირმა ყურადღება მიამჩვია მეორე საშიშროებასაც — წერილი ხელოსნობით და ვიწრო პროფესიონალიზმით გატაცებას.

ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელთ ჰგონიათ, რომ რაც აღდრე მოამზადებენ მოზარდს დაზავასთან მუშაობისათვის, მით უკეთესია. ისინი არ არიან დინტერესებული, რომ ჩვენი მუშა რაც შეიძლება ყოველმხრივად მომზადებული და განვითარებული ადამიანიც იყოს, არამედ მათ აინტერესებთ — რა იყოს მხოლოდ კარგი ხარატი, ზეინკალი. ისინი ამგვარად თავის და უნებურად ანვითარებენ ბურჟუაზიულ შეხედულებებს მუშაობისათვის მომავალი თაობის მომზადების საკითხში, რაც პარტიათბირის მიერ დაგმოწილ



წითელი ტყვიამფრქვეველები

იქნა, როგორც ანტილენინური შეხედულება ახალგაზრდობის განათლების საკითხში.

არა ზარმბი, არამედ ლაზორატირიზმი და შრომის დისციპლინა

როგორც ზემოთ გავვეცანით, ამ დადგენილებაში მთავარია — ბრძოლა პოლიტექნიკური განათლებისათვის, ბრძოლა სკოლაში მშრალი და სიტყვიერი სწავლის წინააღმდეგ.

განსაკვირვებულ დადგენილებებში საფაბრიკო-საქარხნო შეიღწეულზე (ს. ს. შ.) ნათქვამია, რომ ს.ს.შ. უნდა შეიქმნეს ნამდვილ პოლიტექნიკურ სკოლად და გახდეს მავალითი ყველა დახარჩები სკოლისათვის. ამავ დადგენილებაში გათვალისწინებულია იმდები საქ.-საფაბრიკო სკოლის გახსნა, რომ 1931-32 წელს მათ დაიტიონ მუშების ყველა ბავშვი.

წარმოებთან არსებულ საქ.-საფ. სკოლას აქვს ყოველგვარი საშუალება უფრო გადაიქცეს პოლიტექნიკურ სკოლად, ვიდრე სხვ სკოლები. ამის შესრულებას უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება მოკლე ხანში, ამისათვის კი ერთი გზა არსებობს — წარმოებასთან კავშირი და ბავშვთა შრომის ორგანიზაციის მოწყობა წარმოებაში.

ბავშვებს სწავლების დაწყების წლებიდან უნდა მიეცეს მუშაობის საშუალება, წარმოების ლაბორატორიების, საწარმოო კაბინეტების და სამეურნეო ცენტრების შესწავლის საშუალება.

თითოეულ საქ.-საფ. სკოლაში მცირეწლოვანთათვის უნდა დაარსდეს სამუშაო ოთახები და სახელოსნოები, მოზრდილ ასაკთათვის კი — სასწავლო საწარმოო ცენტრები, — თუ ქარხანასთან არა, სკოლებთან მაინც, — და ეს უკანასკნელნი უნდა მოეწყოს ქარხნებთან არსებული ცენტრის დაგვირგად. ამ სახელოსნოებმა, სამუშაო ოთახებმა და ცენტრებმა უნდა მისცეს ბავშვებს პოლიტექნიკური მომზადება, აღზარდოს მათში კოლექტიური შრომის უნარიანობა, ორგანიზაციულობა, შრომის დისციპლინა და გააფართოოს მათი აზროვნება ტექნიკური ცოდნის დარგში.



ბავშვები პოლიტექნიკისათვის

*) დასაწყისი იხ. „პიონერი“ № 3

განსახკომი თავის დადგენილებაში მე-2 საფეხურის სკოლის შესახებ აზვასმით აღნიშნავდა: პოლიტექნიკური განათლების ინტერესებს უნდა დაექვემდებაროს საშუალო სკოლის არდაქმნა - გადაკეთება, რომელშიაც გერ კიდევ საკმაოდ ბუდობს მწიგნობრობა და სიტყვიერება. მეორე საფეხურის ბევრი სკოლა დღესაც გაცილებით უფრო გავს ძველ გინმაზიებს, იდრე პოლიტექნიკის სკოლებსო.

ამიტომ კომკავშირი ყოველთვის დაინებით მოითხოვდა, რომ მე-2 საფეხურის უფროსი ჯგუფები (8-9 ჯგუფები) გადაკეთებულიყო ტექნიკურად და პროფსკოლებად, რომელშიაც შეიძლება საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადება.

პარტიულმა თათბირმაც ასეთი დადგენილება გამოიტანა. მაგრამ მან აუმატა — ტენიკუმები და პროფსკოლები უნდა გადაიქცენ პროფესიონალურ - პოლიტექნიკურ, და არა იწრო პროფესიონალურ სკოლებად.

ეს მოვლენა ერთხელ კიდევ ამტკიცებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს პოლიტექნიკურ განათლებას არა მარტო ლენინის მომზადებისათვის, არამედ სენიერ - ტექნიკოსთა ძალების მომზადებისათვისაც.

განსახკომის დადგენილებაში ახალ-აზრობის საკოლმეურნეო სკოლის შესახებ (ყოფილი გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა) ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საკოლმეურნეო სკოლა პოლიტექნიკური სკოლა უნდა იყოს.

დადგენილებაში ნათქვამია: აუცილებელია შესწავლა სასოფლო - სა-

საკავშირო ა.ლ.კ.კ. მე-9 პრილაკი



მეურნეო რთული მანქანების, მამოძრავებლების, და განსაკუთრებით კი იმ რაიონის საკოლმეურნეო სკოლის საწარმოო სწავლის დაყენება, სადაც არსებობს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მსხვილი წამოწყებები.

აქ აუცილებელია, წარმოების შესწავლასთან დაკავშირებით, მოსწავლეების უზრუნველყოფა სათანადო სასწავლო ნივთებით და საზოგადოებრივ - სასარგებლო შრომასთან დაკავშირება.

მთლიანი კოლექტივისთვის რაიონგანში საკოლმეურნეო სკოლა უნდა გადაიქცეს სასწავლო ცენტრად.

საწარმოო მომზადება კოლმეურნეობაში უნდა იქნეს დაკავშირებული ნაწილობრივ წარმოებით შრომასთან, სკოლის სწავლის სამეურნეო ნაწილი კი კოლმეურნეობის მნიშვნელოვან ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

როგორც ვხედავთ, აქაც პოლიტექნიკური მომზადება დგას პირველ ხაზზე.

ყოველივე ამის შესასრულებლად ჩვენთვის საჭიროა ახალი პედაგოგები, რომელთაც აქვთ პოლიტექნიკური მომზადება, ძველები კი უნდა იქნან შესაფერისად გადამზადებულნი.

(გაგრძელება იქნება)

არმია წინაღ და ახლა

(ამხ. ნ. კრუპსკაიაჟ მოხსენებიდან)

წინაღ ჯარს ავხანდინდნ უმთავრესად არა რეჟიმ მტრის არამედ შინაური მტრის წინააღმდეგ—მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ, მაგრამ ვინაიდან ჯარისკაცები უმცირესად მუშები და გლეხები იყვნენ, ამიტომ ცდილობდნენ ისინი ყოველგვარად დაინებიათ, ყოველგვარად გაებრუნებიათ, ყველგვარად მოეტყუებიათ. ერთხელ ხელჩამივარდა ფურცელი „რა უნდა ახსოვს ჯარის კაცს“ იქ ეწერა: „უმიზნე ერს, თუ თოფი წავიხრდა—კონდახი დაარი, კონდახი თუ გატყდა—მუშტი დაარი, მუშტი თუ წახდა—კბილებით ეცი, მეღვრად, თვითონ ღმერთია თქვენი წერილი“. ღმერთი ყველგან იყო მომარაბული, რომ მმართველენ თავის დახმარებად გამოეყენებიათ იგი. გარდა ამი-ცდილობდნენ ჯარისკაცები სოფლის-

ვის უტყონი ყოფილიყვნენ, ცდილობდნენ ჯარი სოფლიდან შორს ყოლოდათ. მთელი რეჟიმი იქითკენ იყო მიმართული, რომ ჯარის კაცები შრომელებისაგან გაეცალკევებინათ

ჯარისკაცებს ყოველ ნაბიჯზე უპირისპირებდნენ შრომელ მასებს. როდესაც ჯარის კაცი მეფის არმიაში იყო, ცდილობდნენ ის ჩამოეშორებიათ ხალხისაგან, ყოველგვარად ცდილობდნენ გაეღვიძებიათ მასში ყველა დანარჩენი ხალხის, სხვა ქვეყნების შრომელების ზოზღი, ცდილობდნენ დაეშინებიათ ის, რომ ვერ გაეჩრია ვინ იყო მისი მტერი და ვინ მოყვარე.

ცხადია, რომ ახლა წითელი არმიის როლი სულ სხვაა. წითელი არმია ახლა მუშათა და გლეხთა მასების შეკავშირებაა, ის ამ მსახებს შევილია, გარდა ამისა, ამაჟამად წი-


თელი არმია ყოველგვარ ღონეს ხმარობს, რომ წითელარმიელს მისცეს ცოდნა და მას შეეძლოს ნათლად გარკვევა, თუ რა ხდება ირგვლივ. ამ ცოდნას წითელარმიელი სოფლად მიიტანს, ამ ცოდნით მას შეუძლია დაეხმაროს სოფელს, რომ მან წელი წამოიღოს, შეგნებულნი გახდეს, ახალ ყაიდაზე მოაწყოს ცხოვრება. წითელი არმიის ეს როლი მეტის-მეტად დიდია და ის ყოველთვის უნდა გვახსოვდეს. წითელ ჯარში გაივლის ყველა ახალგაზრდობა; ამ სკოლას, წითელ აოშიას, რომ გაივლის, ახალგაზრდობა სოციალისტების შეგნებული მშენებელი ხდება.

ამგვარად, წითელ არმიელს უკვე ახლაც გარკვეული კულტურული ძალაა, და ამ კავშირის, მუშათა კლასისა და გლეხის კავშირის, რომელიც შრომელთა ძლიერების მიზეზია,—ამ კავშირის განამტკიცებელია წითელი არმია.

წითელი არმია ღიმი კულტურული ძალაა

აი რა მისცა არმიამ სამი წლის განმავლობაში (1925-1927) საბჭოთა კავშირს:

კოოპერატორი	12196
ქობ-სამკითხველოს გამგე	5195
მიწის მუშა	2431
მილიციონერი	5406
საბჭოთა მუშაკი	12731
სამხედრო მუშაკი	4799
მუშაგლეხკორი	674
ტრაქტორისტი	329
პარტ. კომკავშირ. მუშაკი	250
პოლიტგანათლების მუშაკი	281
სხვადასხვა პროფესიონალურ-გამოყენებითი დარგის მუშაკი	8712
დანარჩენი	9255



წითელი არმია ბრძოლაში

გაუშვარჯოს

წითელ

არმიას!

• ბრძოლის ველზე •

სამზად.

(ნაწყვეტი)

— მერე, ძია,—არ მოეშვენი ჯავშები სე-რგოს,—მენშევიკურ ლაშქრის ყოფილ ჯა-რის კაცს და ახლა ჩვენი სოციალისტურ მენების დამკვირვებელ მუშას ქარხანაში,—რა მან დაიწყო მოგონება საქართველოს გასაბ-ჭოების პირველ დღეებზე და შეჩერდა, პა-პიროსს მოუყვია.

— მერე და... ზო... მე თქვენ გიამბობთ ერთ ეპიზოდს „წითელ ხილზე“ ბორჩოლო-ში—რაც ვნახე...

დამე იყო...
თებერვლის საშინელი ყინვიანი ქარი ჰქროდა. თორღელ შემოსილი მთები ჩაფიქ-რებულიყვნენ. ცას ლევა ღრუბლების ქარა-ვანი გაბმობდა, საიდანაც, აქა-იქ თუ გამოა-ნათებდა დაბინდული ვარსკვლავი...

ზიდის აქეთა ყურზე ვდგევართ პატარა საყარაულო რაზმი. გავყურებთ გაღმა, რა-დაცას ველოთ, და მოლოდინზე ძნელი ხომ არაფერია...

არ ვიცით რა მოგველის მეორე წუთს... სიცივისაგან გათოვილ ხელებს ვიორთქ-ლებ, ფეხები ლამის დამძრას; გარს ვუვ-ლი ჩემს „ლიუის“-ის სისტემის ტყვიამფრ-ქვევს, რომელსაც ტუჩი მდინარის გაღმა გა-უშვებია.

აქ არიან მაშინდელი დროის საუკეთესო ოფიცრობა და ჯარისკაცები, რომელთაც მრავალი ბრძოლები უნახავთ და ხშირად გამარჯვებულნი გამოსულან, მარა აქ კი... დაფიქრებულიან გაუბედობა ეტყობათ.

— ბოლშევიკური ჯარი დაგვხვრეტს, თუ ტყვეთ ჩაუვარდით; სჯობს აქვე დავისოც-ნეთ...—ჩურჩულდებენ ოფიცრები ერთმანეთ-ში და ამავე სიტყვებით მოგვმართავენ ჯა-რისკაცებსაც.

— ტყვეს გაგვპარობენ!—უამბობს შეში-ნებული გვარდიელი თავის ამხანაგებს, იქვე, ჩვენს ასლოს, და ხმაში ეტყობა კანკალი; ბრძოლის ზაღისი დაჰქარგვია...

— ჰქმ უიარაღო, აჯანყებულ გლეხებზე და მუშებზე კი ბიჭები არიან? წამოსცდა ერთ ჯარისკაცს.

— სუ! ლეიტენანტმა არ მოგვეკრას ყური, თორემ ხომ იცი აქვმა... აფრთხილებს მეო-რა...

ჯარისკაცებს არ გვეშინია წითელი არ-მიის, ვიცით, რომ ჩვენ არაფერს გვერჩიან; მათ იციან, რომ ძალით ვართ გამოჩეკილნი და ყველაზე ძალიან ჩვენს ვართ დაჩაგ-რულნი; აკი ამიტომაც, რომ გვეტულს გვარ-დიელები, რომლებიც უკან ვვიდგანან, რათა თუ ვინცობა უარი განვაცხადებთ წითელბ-თან ბრძოლაზე, ზურგიდან დაგვცხოონ...

გვარდიელები ჩუმად იპარებიან უკან, ეში ნიათ, მარა ჯარისკაცები კი ასობით გადა-ღიან წითლებისაკენ და ნებით ტყვეთ უფარ-ლებიან...

გული არ ითმენს ლოდინში, მინდა ვნახო ძაბრის ქუდიანი არმიელები, რომლებზედაც ბებერი გამიფიქნია, მარა თვალით არ მინახავს, რომლებმაც ყველა ჯურის თორგვარდიე-ს დაწინავეს რუსეთში, უკრაინაში, ციმ-ბირში, შუა-აზიაში, ჩრდილო-კავკასიაში, ადერბეიჯანის მუსავეტლებს ამოჰკრეს პან-ღური, თავში წამოუტიალეს სომხეთში დაშ-ნავენს და ახლა ჩვენს მენშევიკებს მოაღგ-ნენ...

აბა რად ეშვებოდებიან აჯანყებულ მშრო-მელთ, თუ ასე არ მოიქცნენ?!

— რად იგვიანებენ?

— რა ვიცი, ალბად სამხედრო საიდუმ-ლოებაა. —ლაპარაკობენ ბიჭები ჩუმად.

— ჩვენ რა გვაქვს მათთან საბრძოლო? ისინი ხომ ჩვენ გასანთავისუფლებლად მო-დიან?!—გადმომილაპარაკა ერთმა.

— ა?!—მიხარია, სიფრთხილისათვის მა-ინც ირგვლივ მიმოვაკვივ თვალი.

— რისა გეშინია?—მამხნევებს ის.

— არა, კი არ მეშინია, მარა...

— რაო?! რას ჩურჩულდებთ?!—თვალეებს გვიბრალებს წამოსწრებული ლეიტენანტი.

— არაფერს, ბატონო ლეიტენანტო... აგე-რა, იქნება პაპიროსი აქვს—მეტქი სერგოს,

და...—მოხერხებულად გაცურა ნიკომ ლეი-ტენანტი.

— სად არიან აქამდე?

— მალე გამოჩნდებიან ალბად... კოჯორ-ზე უტყვენ იუნკრებს, არ გესმის სროლა? ინათლა...

— სმენა! მოემზადეთ!—გაისმა ბრძანება, ყველა თავის ადგილზე...

— ცეცხლი პირდაპირ გორას!

აკაკანდა ტყვიამრეჭვევი, შაშხანები ერთ-მანეთს ეჯიბრებიან, სადღაც აყვება ქვემე-ხი; გრილმებს არე, ზანზარებს დედამიწა; ყუმბარები სთხრიან ორმოებს და ბელტებს ჰაერში ანიავებენ; ტყვიები გაბრაზებულ ფუტკრებივით ბზუნიან...

გაღმიდან რატომღაც ჩვენსკენ არ მოდის ტყვია; გვარდიელებს უშენენ...

ამ სურათის მნახველ ჯარისკაცებს ნათე-ლმა გადაჰქარა სახეზე...

თოფები ძირს ეშვება, ჩერდება „ლი-უსისა“.

— აი შე!...—მოშვარდა ლეიტენანტი ღრი-ალით და რევოლვერის ლულა პირში მომტე-მარა საიდანაც მარჯვედ ნიშნაში ამოღე-ბული ტყვია ხვდება, უსულოდ ეცემა ძირს.

— ბოლშევიკშითაა მოწამლული ეს ჩვენი ჯარი! ხომ ხედავთ არ იბრძვიან, ეგ ისეთი სენია, რომ ვერაფრით შევაჩერებთ, დავი-ლუპებთ. რამდენიც გინდათ დახვრიტეთ, ეს არამზადებო, ყველას ხომ ვერ დახვრავ, და!...—სასოწარკვეთით ეუბნება ბებერი მაი-ორი გენერალს.

— ჰქმ ცეცხლი! დაშენით!!!—იძახის თვით გენერალი, მარა აქა-იქ-ღა თუ გაისმა კანტი-კუნტი სროლა...

ჯარს არ სურს ომი, ოფიცრობა დაიბნა.

წითელმა კავალერიამ გამოსცურა მდინა-რე და ზურგში გვივლის...

წინა დღით დატყვევებული ჩვენი ჯარის-კაცები მოგვადგნენ ხილზე.

— რა უყავით, ბიჭებო, თოფები!—გაკ-ვირვებით ეკითხება მაიორი.

— ბოლშევიკებმა ჩამოგვართვეს და გა-მოგვიშვეს. დაუბრუნდით თქვენს დაზგებსა და ფუთნებს; თქვენ არას გერჩითო... ჩვენ მოვდივართ; რომ საქართველოს შრომელნი გავანთავისუფლოთ იმპერიალისტებისა და მათი ლაქიებისაგანო!...—გულუბრყვილო ღიმილით ამბობს ერთი მათგანი.

— მერე და იმ რუსებს უჯერებ?

— რის რუსი, ქართველი იყო კომისარი...

— რა დაიწყო ჯარისკაცმა, მაიორმა რევო-ლვერი იძრო ღრიალით:

— აი, შე ძაღლო!!!—და სილა გაჰქარა,— დაგვხვრეტავთ ყველას!!!

ჯარისკაცები აენთენ და თოფები მოი-მარჯვეს შეურაცხყოფილი ამხანაგების გა-მოსასარჩლებლად.

— მამ აგრ? აჯანყება?!—ტუჩი მოიკე-ნითა მაიორმა, რევოლვერი ძირს დაუშვა და ტელეფონის აპარატს მიუჯდა...

სიჩუმე აღიმართა აღმოუცნობ პოზით...

წითელი არმია წინ მოიწევს.

გაისმა უკანდახვევის ბრძანება.

და ასე სულ უკან სვლა...

ტფლისში დამე გამოვიარეთ; მცხეთასთან ჩავსაფრდით, იქიდანაც აგებარგეს ახლა გორთან, იქიდანაც დაგვძრეს; მერე ლიხის მთაზე, იქიდანაც; მერე საჯევასოსთან, იქი-დანაც და ასე ბათუმამდე...

ბათუმის და მისი მიდამოების ვაწმენდა შე მოჭრილ ქემალის ჯარისაგან მოგვიხდა ია-რალით, უკვე გაბოლშევიკებულ რაზმებს...

მე თებერვალს გასაბჭოვდა საქართველო, მე მარტს გამოიცა დეკრეტი ქართული წი-თელი არმიის შედგენის და პირველი მსრო-ლელი ლეგიონი რომ შეიქნა. მე, თქვენს ძიასაც მნახავდით იქ...—დაათავა სერგომ ღიმილით და დაზგას მიუბრუნდა, რათა სა-ქართველოს გასაბჭოების და ქართული წი-თელი ლაშქრის 10 წლის თავზე რამდენ ჩა-ქუნსაც დაარტყამდა გრემულზე, იმდენი ათე ული წლები კვლავ განმოქედა სოციალის-ტურ წინსვლითი!...



წითელი ჯარი მანევრებზე

წითელი არმია

შ. თ.

— ვინ არის იგი, ვინაც წარმოშვა დიად ოქტომბრის აგრიგალებამ?

— წითელი არმია.

— ვინ არის იგი, ვინც დედამიწის ერთ მეექვსედზე დარაჯად უდგას თავისუფლებას?

— წითელი არმია.

— ვინ არის იგი, ვისი სახელიც ში-შის თავზარს სცემს მთელი მსოფლიო-ის მჩაგვრელთა ხროვას?

— წითელი არმია.

— ვინ არის იგი, ვინც ცამეტი წლის განმავლობაში სახელგანთ-რცლებს უმატებს მშრომელთა ბრძო-ლის დიად ისტორიას?

— ისეც იგია, ნაცადი გმირი, სახე-ლოვანი და მტერთ გამგმირი.

თუ ძველად ჯარი მონა იყო თვით-მპყრობელობის, თუ ჯარისკაცი ნისხ-ლსა დვრიდა თავისი მოძმის, რითაც ეცავდა მჩაგვრელების უსამართლო-ბას, — დღეს სულ სხვა არის დიდ ბრძოლებში გამობრძმედილი, მტერ-მოყვარისა კარგად მცნობი წითელ-არმიელი.

თუ ჯარი წინად თავზარს სცემდა მოსახლეობას და თოფ - ზარბაზნით აღუნებდა მშრომელთა ნებას, დღეს არმიელი საბჭოების არის მუშაკი, და ახალ ყოფის მშენებელიც იგია სოც-ლოდ.

კაპიტალიზმის ციხე - ბურჯი უკვე ინგრევა, რევოლუციის ბაცილა ხრავს ბებერ მსოფლიოს, წითელარმიელთ რიგებიც ხომ სულ მზად არიან, რომ ბებერუნანა საკადრისად დაასულა-ონ.

ამხანაგებო! ჩვენ ხომ გვჯერა, გვჯერა ურყევად, რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენია, ჩვენი.

გვრწამს მთელ მსოფლიოს შემოერთების წითელი დროშა, და ბოლშევისიდან პოლუსამდე.

ყველგან, ყველანი სალამს უძღვნიან სახელგანთ წითელ არმიას!..

(თარგმანი) „წითელი არმია“



მუშათა კლასის ბრძოლის და გამარჯვების ისტორიის წითელ წიგნში სახ. ვაერთ. პოლიტსამმართველოს 13 წლის არსებობამ მრავალი ღირსეული სტრიქონი ჩაწერა.

13 წელი პროლეტარიატის მონაპოვრის სადარაჯოზე კონტრრევოლუციასთან ბრძოლის, მუშათა კლასის ყველა მტერთან მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის ბრძოლის 13 წელია!

როგორ დაიწყო საგანგებო კომისიის გმირული მუშაობა ოქტომბრის მონაპოვრის დასაცავად?

1917 წელს, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ, ბურჟუაზია არ დაწყნარდა. იუნკრების აჯანყება, კლასიურ მტრების სასტიკი წინააღმდეგობა და ცდები საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა. — აი რამ გამოიწვია სახკომსაბჭოსთან სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის დარსება.

43 დღის შემდეგ, რაც პეტროგრადის რადიოსადგურმა აცნობა მთელ მსოფლიოს დროებითი მთავრობის დამხობა და სახელმწიფო ძალაუფლების მუშათა და გლეხთა საბჭოების ხელში გადასვლის შესახებ, დაარსდა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია კონტრრევოლუციისა და საბოტაჟთან საბრძოლველად მისი პირველი მეთაური იყო პირველი ჩეკისტი - ფელიქს ედმუნდისძე ძეგრჟინსკი.

გმირული წვლთაღრიცხვა

1918 წელი.

მაისში აღმოჩენილი იქნა ფართული კონტრრევოლუციური ორგანიზაცია „სამშობლოსა და თავისუფლების დაცვის კავშირის“. ან კონტრრევოლუციური პარტიის ხელმძღვანელი ჯგუფი დააპატიმრეს. თანმიყოლებით სრ. რუს. საგ. კომ. იამ აღმოაჩინა და დააპატიმრა იმ.ვე კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები იაროსლავლში, რიბინკში, ყაზანში და სხვა ქალაქებში.

1919 წელი

25 სექტემბერს მოსკოვში, ლენინის ჩუჩის შესახვევის შენობაში, ჩეკის პარტიის მოსკოვის კომიტეტის სხდომის დროს დარბაზში ყუმბარა შეაგდეს. ყუმბარის აფეთქებამ მოჰკ. მოსკ. პარტკომიტეტის მდივანი აშხ. ზაგორსკი. იმ დღესვე საგანგებო კომისიამ გამოაკვლია და აღმოაჩინა ამ აქტის მომწყობი და შემსრულებელი ანარქისტების და მემარცხენე სოც. რევ. ჯგუფი.

1920 და 1921 წლები

საგანგებო კომისია აწარმოებს ბრძოლას კონტრრევოლუციონურ პანდიტიზმთან. ამ პერიოდშივე მოხდა დიდი კონტრრევოლუციონური აჯანყებების ლიკვიდაცია ტამბოვში, უკრაინასა და ციმბირში.

პროლეტარული რევოლუცია - სახელმწიფოს დაცვა



1922 წელი.

ნ თებერვალს მოხდა სრ. რუს. საგანგებო კომისიის რეორგანიზაცია — ის გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოდ გადაკეთდა.

1924 წელი.

საბჭოთა ტერიტორიაზე გადმოსვლის ცდისთვის საზღვარზე დააპატიმრეს ბორის სავინკოვი. გაერთიან. სახ. პოლიტსამმართველომ გაიგო, რომ ეს კონტრრევოლუციონერი არის არა მარტო შეთქმულების ხელმძღვანელი და ტერორისტული აქტების ჩამდენი, არამედ პოლონეთში შპითნაჟის მომწყობიც.

სავინკოვშინის ლიკვიდაცია ერთი უბრალოდღესი გიგანთაგანია ვაერთ. სახ. პოლიტსამმართველოს მუშაობის ისტორიაში.

უკანასკნელი წლები ვაერთ. სახ. პოლიტსამმართველოს გარკვეული და დაუღალავი მუშაობის დამახასიათებელ მრავალ მასალას იძლევა.

ამ წლებში აღმოაჩინა მან მუშათა მომარაგების ხაზით წარმოებული მავნებლორი მუშაობა, შესძლო „დიდი უკრაინის“ კავშირის ლიკვიდაცია.

1931 წელი ვაერთ. სახ. პოლიტსა-


მმართველოს მუშაობაში აღინიშნება „სამრეწველო პარტიის“ დანგრევით და მოსპობით, ეს ჩეკისტების მუშაობის ერთ-ერთი სახელოვანი დამსახურებაა.

„სამრეწველო პარტია“ იყო კონტრრევოლუციის შტაბი, რომელიც უმზადებდა საბჭოთა კავშირს მახვილის ლალატურ ჩაცემას, როგორც შიგნიდან, ისე გარედანაც.

პროლეტარული დიქტატურის და მსჯელმა ბასრმა მახვილმა გასჭრა ჯამუშებთან და ინტერვენტებთან რამზინების შემაერთებელი თოკი, რევოლუციის დარაჯის რკინის ხელმა მოსძებნა კონტრრევოლუციის გული.

„სამრეწველო პარტია“ განადგურებულია, მაგრამ მიუხედავად ამისა მტერი არ მოსპობილა, მუშათა და გლეხთა მიმართ მტრულად განწყობილი კლასი კიდევ არ არის მთლიანად განადგურებული. სასტიკი ბრძოლა კიდევ გრძელდება, იმპერიალიზმი კიდევ გვიმზადებს ომს, ბლოკადას და ინტერვენციას. ჩეკისტების რკინის ბატალიონებს კიდევ დასჭირდებათ მუშათა და გლეხთა მტრების განადგურება კლასიური ბრძოლის ფრონტზე.

განაპირობებული მოსკოვის რაიონის რესპუბლიკური უსაფრთხოების დეპარტამენტი



ყარაიას კოლექტივის წევრები ბაზის აკრეფის დროს



„გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო, ანუ საგანგებო კომისია, საბჭოთა ხელისუფლების დამსჯელი ორგანოა. ის უმთავრესად სჯის ჯაშუშებს, შეთქმულების მომწყობთ, ტერორისტებს, ბანდიტებს, სპეკულიანტებს და ყალბი ფულის მჭრელებს. ის წარმოადგენს საშვიდრო - პოლიტიკური ტრიბუნალის მსგავს ორგანოს, რომელიც დაარსებულია, რომ დაცვას რევოლუციის ინტერესები კონტრ - რევოლუციონური ბურჟუეზიისა და მათი აგენტებისაგან.“

ეს ორგანო დაარსდა ოქტომბრის რევოლუციის მეორე დღესვე, მას შემდეგ, რაც თავი იჩინა ყოველგვარმა შეთქმულებამ, ტერორისტულმა და

ჯაშუშურმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც ფინანსიურ დახმარებას უწევდნენ უცხოეთში გაქცეული რუსი კაპიტალისტები და მემამულეები უცხოელ კაპიტალისტებთან ერთად.

გაერთიანებული სახ. პოლიტსამმართველო გაიზარდა და გამაგრდა საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ მიმართული მთელი რიგი ტერორისტული აქტების შემდეგ, რევოლუციონური კომიტეტის წევრის ამხ. ურიცკის მოკვლის შემდეგ ლენინგრადში (ის სოც.-რევოლუციონერმა მოჰკლა). რევოლუციონური კომიტეტის წევრის ამხ. ვოლოდარსკის მოკვლის შემდეგ ლენინგრადში (ისიც სოც.-რევოლუციონერმა მოჰკლა), ლენინის მოკვლის

განზრახვის შემდეგ (ისიც სოც.-რევ. პარტიის წევრმა დაჭრა) და სხვა უნდა აღვნიშნოთ, რომ გაერთ. სახ. პოლიტსამმართველომ რევოლუციის მტრებს მარჯვედ დაჭრა და გაანადგურა.

ამის შემდეგ გაერთ. სახ. პოლიტ-სამმართველო წარმოადგენს ბურჟუაზიის თავზარდამცემს, რევოლუციის მედგარ დაჩაჯს და პროლეტარიატის მახვილ იარაღს.

არ არის ამიტომ გასაკვირი, რომ მთელი ქვეყნის ბურჟუაზია უსაზღვრო ღვაძლს გრძნობს გაერთ. სახ. პოლიტსამმართველოს მიმართ.

არ არის ისეთი ლეგენდები, რომელიც არ იყოს შეთხზული გაერთ. სახ. პოლიტსამმართველოზე, არ არის ისეთი ცილისწამება, რომელსაც მის შესახებ არ ავრცელებდნენ. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ გაერთ. პოლიტსამმართველო სწორედ იცავს რევოლუციის ინტერესებს. რევოლუციის დაუძინებელი მტრები ლანძღავენ გაერთ. სახ. პოლიტსამმართველოს. მაშასადამე, ის სწორად მოქმედობს.

როგორ ეპყრობიან მუშები გაერთ. სახ. პოლიტსამმართველოს? გაიარეთ მუშათა რაიონებში და ჰკითხეთ მუშებს. თქვენ დაინახავთ, რომ ისინი გაერთ. სახ. პოლიტსამმართველოს დიდი პატივისცემით ეპყრობიან. რატომ? იმიტომ, რომ ისინი ხედავენ მასში რევოლუციის ერთგულ დამცველს.

გაერთ. სახ. პოლიტსამმართველო საჭიროა რევოლუციისათვის, და ის იარსებებს პროლეტარიატის მტრების გასანადგურებლად“.



წითელი არმიის წარსული გამარჯვებული ბრძოლებიდან

წ ი თ ე ლ ა რ მ ი ა ს

გ რ ი ზ ა მ ს ა ზ ა უ .

განვიღო ბრძოლებზე ფიჭვი გამივლას: ბევრის მხედრული მზე ჩაძირულა, ვრანგელ და სხვებთან რომ გვიომნია ბარსადებზე თავგანწირულად.

ვართ ახლები, და ირგვლივ ხრამია, ღმუის კოლჩაჟი გაბოროტებით, მაგრამ დასძლია ჩვენმა არმიამ გამსაფრებული პერიოდები.

ბევრი მანძილი იყო მიზნად, ალბად ასეთ დროს ბევრი აცდენდა, ჩვენ კი ბრძოლებში წაბოვიზარდეთ, და მივადწიეთ დავაუკაცებას.

დღეს კი რკინა ფოლადის ვენებით, ბოლშევიკური ზღვა - მხედრებია, გიგანტები და ამდენი ძვრები წითელ არმიის ბრძოლით გვრგვბია.


ყოველი წუთი მოიტანს წინსვლას, ახალი ყოფით გალაღებული, ჩვენი არმია, ცამეტი წლისა, ღონით ღონია გამზავებული.

გარკვეულია გზა და მიზანი, მარომ დღეს უხვად ხარობს უზნებთან... ბებერ მსოფლიოს მახვილმბიტანოს, აიკვდილია ჩრდილი ესაღბრება.

დიდი ხუთწლიანი ტემპში ჩამდგარი, ჩვენი არმია დღეს დამკვრელია, რომ ძლიერდება წითელი ჯარი,— პანეგროპაში ბედს იწყველიან.

ცამეტი წელი და სივრცეა დღეს რომ გიღმის ვარ მოხარული, იარ! მსოფლიოს დაჭკარ, დახარცებ, რომ მოვასდინოთ რევოლუცია პროლეტარული!..

პიუნჯეთის მხარეში მსოფლიოს დაჭკარისათვის



გვინი მიღწევები ათი წლის თავზე

გრიზა იარალოვი.

საბჭოთა საქართველოს არსებობის ათწელი ხასიათდება უდიდესი მიღწევებით სახალხო მეურნეობის განვითარებით ყველა ფონტზე. მრეწველობის ინდუსტრიული რევოლუცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია წინ მიექანება მუშათა კლასის და გლეხობის უდიდესი ენთუზიაზმით, რაც უნდა მიეწეროს პარტიის სწორ პოლიტიკას სოციალიზმის შესახებ პროგრამაში.

მშენებლობის ბოლშევიკურმა ტემპებმა გააქარწყლა საბჭოთა საქართველოდან განიზნული ბურჟუაზიის ლაქიების, რენეგატების, მუშათა კლასის და გლეხობის მოლაპარტე მენშევიკური პარტიის ლიდერების დაუბობა საქართველოს სოფლის მეურნეობის დემარცხების და განადგურების შესახებ.

განვლილი მანძილი საქართველოს მშენებლობისა ხასიათდება სამი მთავარი პერიოდით: დანგრეულ-განადგურებული მრეწველობის და სოფლის მეურნეობის აღდგენა; სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია და სა-

ხა; ჩვენი ქვეყნის საერთო ეკონომიკურ ზრდასთან ერთად გაიზარდა და განმტკიცდა მუშათა რეალური ხელფასი, ამდღამშრომელი მსგების კულტურულ-პოლიტიკური დონე, გაიზარდა მუშათა აქტიობა მშენებლობის გეგმების განხორციელების საქმეში, ფართედ გაიშალა შრომის ენთუზიაზმის ახალი ფორმები: სოცშეჯობრება, დამკვრელობა, საზოგადოებრივი ბუქსირი და სხვა. მიუხედავად კლასობრივი შტრები გააფთრებული წინააღმდეგობისა, მანებლობისა და ოპორტუნისტების წინასწარმეტყველებისა, შესაძლებელი გახდა მშენებლობის უფრო დიდი ტემპების აღება, რომ სულ მოკლე ვადაში გაგვეზოგოციელებინა დიდი ბელადის ლოზუნგით: „დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს“.


ამ ლოზუნგმა განხორციელებისათვის ბრძოლა უდიდესი შედეგები მოგვცა, თუ 1912 წელს საქართველოში იყო 2619 სამრეწველო წამოწყება, 18,331 მუშით და თითოეულ მათგანს პატარ-პატარა წარმოე-

ნერალების და მადნების დამუშავება, აბრეშუშის საფხავი და ძაფსაღები ქარხნების აგება, მაუდის და შალეულის, ნავთის საწმენდი, საკონსერვო ქარხნები, კინომრეწველობა, ქვანახშირის, ტყავულობის, ჩაის, თამბაქოსი და სხვა.


1928 წლიდან 1930 წლამდე მრეწველობა ძირითად ფონდში დაბანდებულ იქნა — 112,539,800 მანეთი, აქედან ახალ მშენებლობაზე — 84,524,000 მან, ხუთწლიდის მესამე, გარდამწყვეტ 1931 წელს, საკონტროლო ციფრების მიხედვით, კაპიტალურ დაბანდებებზე უნდა დაიხარჯოს — 62,276 მ ათასი მანეთი, აზნავთმშენის გამოკლებით, მიუხედავად იმისა, რომ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო 1930-31 წელს 49,261 ათასი მანეთის დახარჯვა, ასეთივე მდგომარეობაა მრეწველობის სხვა დარგებშიც.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ შეაჩერა სოფლის მეურნეობის დაზნა. დაუყოვნებლივ იწყება სოფლის მეურნეობის აღდგენა და ნიადაგის მოშაადება მისი სოციალისტურ საფუძველზე გარდასამშენლად. სოფლის მეურნეობის აღდგენა უმთავრესად დამთავრდა 1925 წელს, რის შემდეგ იწყება სწრაფი ზრდა ყველა უმთავრეს დარგში.

თუ 1922 წელს საქართველოში გვქონდა 3



წითელი დირიჟაბლი



სეკ. სახინბრეწვის ახალი ფაბრიკა

ხალხო მეურნეობის გადაყვანა სოციალისტურ რეალზე, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის 4 წელში შესრულებისათვის ბრძოლა.

საბჭოთა საქართველოს განვითარებას ძირითად საფუძვლად ედო ამირ-კეცისი ერთ შორის მეგობრული კავშირის განმტკიცებისათვის ზრუნვა, რომ სოციალიზმისათვის ბრძოლაში ამირ-კავკასია თავისი მრავალრიცხოვანი მცირე ერებით მთლიანი და შემჭიდროებული გამოვიდეს.

ჩვენი ქვეყნის შიგნით კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სწარმოებს გაშლილი შეტევა მშენებლობის ყველა ფონტზე და სულ უფრო და უფრო აშკარაა მის უპირატესობა, კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით. მრეწველობის განვითარების სწრაფმა ტემპებმა შესაძლებელი გახდა საქართველო გვერდში ამოგვსოდა საბჭოთა კავშირის მოწინავე ქვეყნებს. მხოლოდ ცენტრის მრეწველობა 7 წლის განმავლობაში გაიზარდა 5,5 ჯერ, კაპიტალურმა დაბანდებამ, ნაცვლად 1923-24 წელს 239,000 მანეთისა, მიაღწია 108,704,200 მანეთამდე, გაძლიერდა მრეწველობის ტექნიკური და ფინანსური ბა-

ბის სახე ჰქონდა, რომლებშიც საშუალოდ 7 მუშა იყო, ხოლო მენშევიკების ბატონობის დროს მთლად განადგურდა და დაქვითების გზას დაადგა (1921 წლისათვის მთელ საქართველოში მუშაობდა ომის წინადროინდელ წარმოებათა მხოლოდ 59 პროცენტი). — 1927-28 წელს შესაძლებელი გახდა დანგრეული მრეწველობის მთლიანად აღდგენა და მისი რეკონსტრუქცია.

განსაკუთრებით სწრაფი ტემპით იზრდება: ელექტროფიკაცია, მარგანეცის მრეწველობა, ლითონის დამუშავება, ჩის, მატყლის დამუშავება და სხვ. თუ 1923-24 წელს კერძო სექტორი საქართველოს მსხვილ მრეწველობაში 13,8 პროც. უდრიდა, 1929-30 წელს იყო 0,1 პროცენტი. მრეწველობის ცალკეული დარგების სწრაფ ზრდასთან ერთად იზრდება საწარმოო მუშათა რიცხვიც, თუ 1923-24 წელს მსხვილ მრეწველობაში 11,852 მუშა იყო, 1929-30 წელს მუშაობდა 26,727, მას ზრდა უდრის 125,5 პროცენტს.

ამ ხნის განმავლობაში შემოღებულია მრეწველობის ისეთი დარგები, რომლებიც აღდგენა არ არსებობდა საქართველოში: მი-

კოლმურნეობა, რომელშიც გაერთიანებული იყო 24 მეურნეობა, საბჭოთა საქართველოს არსებობის ათი წლის თავზე გვაქვს — 2081 კოლმურნეობა, რომელშიც გაერთიანებულია — 91,615 მეურნეობა, და 79 სხვა და სხვა სახის საბჭოთა მეურნეობა, მათ უკავით სათესი ფართობის მთავარი ნაწილი.


ათი წლის თავზე დიდი მიღწევები გვაქვს მშენებლობის ყველა დარგში. უდიდესი ელექტროგანტების აგება, მსხვილი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობის დამთავრება, მრეწველობაში ახალი დარგების შემოღება, ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მუშათა რეალური ხელფასის ზრდა, შრომის ნაყოფიერების გააღება, ტექნიკური უცოდინარობის ლიკვიდაცია, მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის ზრდა, კადრების მოშაადება, სოცშეჯობრება და დამკვრელობა, საზოგადოებრივი ბუქსირი და მუშათა კლასის უდიდესი ენთუზიაზმი. სოფლის მეურნეობის აღდგენა და მისი წინსვლა კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების საფუძველზე, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, ტექნიკური კულტურების შემოღება და აგრადონისძიებათა გამოყენება სოფლის მეურნეობაში მოახსენებებს, რომ საქართველოს მუშათა კლასი მშრომელ გლეხობასთან მტკიცე კავშირით ამტკიცებს სოციალიზმის პოზიციებს და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან ერთად ბოლშევიკური ტემპებით შესძლებს გოგანტური სოციალისტური მშენებლობის წარმოებას.




პიონერები რთავენ წითელ კუთხეს



პიონერთა ბრიგადა თესლის გადარჩევაზე




ძველი ტფილისი



მუშათა ბინების ახალი მშენებლობა



სავაზაფხულო ხენა ყარაიას კოლმეურნეობაში



ყარაიას საბჭოთა მეურნეობის მუშათა ახალი ბინები